


ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა  
ცენტრი



Economic Policy Experts Centre

**საქართველოში საარსებო  
მინიმუმის კვლევის  
მეთოდოლოგიური სარგებები,  
მინიმალური სასურსათო  
კალათის უმეადგენლობის  
ოპტიმიზაცია და საარსებო  
მინიმუმის გაანბარიშება**



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების  
განვითარება საქართველოში

კვლევა მომზადდა ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში.



**USAID | GEORGIA**

FROM THE AMERICAN PEOPLE

**EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE**

**Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)**

საგარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

კვლევის ჩატარდება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

კვლევის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ავტორი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWMI შეხედულებებს.

# კვლევაზე მუშაობდნენ:

*ქეთევან კრიალაშვილი, პროექტის დირექტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი*

*რამაზ გერლიანი, ეკონომიკის დოქტორი, პროექტის მთავარი ექსპერტი, ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის პრეზიდენტი*

*ირაკლი მაკალათი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი, პროექტის მკვლევარი*

*რობიზონ წიკლაური, მედიცინის დოქტორი, საქართველოს ნუტრიციოლოგთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, პროექტის მკვლევარი*

*ამირან კაპანაძე, პროექტის ასისტენტი*

## შინაარსი

### შესავალი

#### თავი 1. საარსებო მინიმუმის კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები

1.1 საარსებო მინიმუმის თეორიული საფუძვლები და მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

1.2 საქართველოში არსებული საარსებო მინიმუმის გაანგარიშება და კვლევის მეთოდოლოგიური ხარვეზები

#### თავი 2. საარსებო მინიმუმის გაანგარიშება საქართველოში

2.1 სასურსათო კალათის ფორმირება და კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

2.2 საარსებო მინიმუმის გაანგარიშები მეთოდოლოგიური სიახლეები და მისი პრაქტიკული გამოყენება

2.3 საქართველოში ალტერნატიული საარსებო მინიმუმის გაანგარიშება მკაცრი და შერბილებული მეთოდოლოგიით

### დასკვნა

### გამოყენებული ლიტერატურა

## შესავალი

### თემის აქტუალურობა

მოსახლეობის ცხოვრების დონე სოციალურ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა, ხოლო მისი მეცნიერული კვლევა და ანალიზი აქტუალურია, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე, ისე განვითარებული ქვეყნებისათვის. მოსახლეობის ცხოვრების დონეს განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემო, რომელიც საზოგადოების მოთხოვნილებათა ზრდის პალეულად იცვლება, რაც თავის მხრივ მოითხოვს ცხოვრების დონის კატეგორიის ახლებურად დასმასა და შესაბამის ცვლილებებს საზოგადოებაში გაჩენილი მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

საარსებო მინიმუმის სწორი განსაზღვრა და მისი გაანგარიშება უშუალო კავშირშია საზოგადოების კეთილდღეობისთვის დასაგეგმ სოციალურ პოლიტიკასთან და ამ კუთხით პირველ რიგში სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, როგორც საზოგადოების მინიმალური სოციალური

გარანტორი. სახელმწიფომ უნდა შექმნას თავისი მოქალაქეებისთვის თანაბარი სასტარტო პირობები, რაც მისი მთავარი ფუნქციის -სამართლიანობის - გამოხატვას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, თითოეულ მოქალაქეს აქვს უფლება იმ რეალური მინიმალური გარანტიებისა, რომლებიც ქმნიან პირობებს არსებობისა და განვითარებისათვის.

საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის შეადგენს 2300.0 კ.კალორიას დღიური მოხმარებისათვის და შედგება 40 დასახელების პროდუქციისაგან, მაშინ როდესაც სპეციალისტების აზრით მინიმუმ 2500.0 კ.კალორია არის საჭირო დღიური მოხმარებისთვის და ამასთან აუცილებელია საკვები პროდუქტების მრავალფეროვნება.

აღსანიშნავია, რომ მინიმალური სასურსათო კალათის და საარსებო მინიმუმის კვლევა, არ არის დამოკიდებული ქვეყნის ფინანსურ შესაძლებლობებზე. რეალური საარსებო მინიმუმის დადგენა არ გულისხმობს

სოციალური პაკეტების მყისიერ ცვლილებას. საარსებო მინიმუმი ნიშნავს იმ ორიენტირს, რაზეც განვითარებადმა სახელმწიფომ უნდა მოახდინოს სოციალური პოლიტიკის სწორება

### კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია შრომისუნარიანი მამაკაცისათვის შრომისუნარიანობის აღდგენისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აუცილებელი საკვები პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებისა და საკვების ნივთიერებების უზრუნველყოფის საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობით მინიმალური სასურსათო კალათის ჩამონათვალის გაკეთება და ჯამური ღირებულების განსაზღვრა ერთთვიან პერიოდზე გათვლებით.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე საარსებო მინიმუმის კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს შემდეგი:

- კვლევის საფუძველზე ოპტიმიზირებულ იქნას: საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია, ამ მეთოდოლოგიის მიხედვით განისაზღვროს მინიმალური

ეტაპობრივად. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია კრიტიკულად გავანალიზოთ რეალური საარსებო მინიმუმის კვლევის მეთოდოლოგია.

სასურსათო კალათა (რაოდენობრივად და თვისობრივად) და გაანგარიშდეს რეალური საარსებო მინიმუმი, რაც არსებულ მეთოდოლოგიაში აუცილებელ ცვლილებებს მოითხოვს;

- “რეალური საარსებო მინიმუმი”-ს მოცულობიდან გამომდინარე საჭიროა გამოკვლეულ იქნას მინიმალური სამომხმარებლო კალათა (პროდუქციის, ნივთების, საგნების, მომსახურების, მედიკამენტების და სხვათა ერთობლივი ნაკრები, რომლებიც ესაჭიროება ადამიანს არსებობისთვის);
- ჩატარდეს მიმდინარე ფასების კვლევა საარსებო მინიმუმის კალათაში შემავალ ყველა საქონელსა და მომსახურებაზე. განისაზღვროს მათი ღირებულება კვლევითი პერიოდის მდგომარეობით. საბოლოო ჯამში კი ფულად ფორმაში განისაზღვროს “რეალური საარსებო მინიმუმი”;
- მიღებული მონაცემები გამოსახული ფულად ერთეულში, უნდა შეედაროს არსებულ ოფიციალურ მონაცემებს;

- შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც კვლევის შედეგებიდან გამომდინარე რეალურ სურათს შექმნის არსებული ვითარების სწორად განსაზღვრისა და მასში ცვლილებების განხორციელებისათვის;

- საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის ცვლილების პროცესში უნდა განხორციელდეს კვლევის შედეგების მიწოდება და გამოყენება სამთავრობო დონეზე.

### **კვლევის ობიექტი და საგანი**

მოცემული ნაშრომის ობიექტია საარსებო მინიმუმის კვლევის მდგომარეობა და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოში, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს საარსებო მინიმუმის სტრუქტურული კანონზომიერებების დადგენა და სტატისტიკური ანალიზი.

### **ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა**

ნაშრომში წარმოჩენილი ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები და ჩატარებული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა, სამთავრობო და საკანონმდებლო უწყებების მიერ შესაბამისი სოციალური პოლიტიკის შემუშავებასათვის, სამოქალაქო სექტორისთვის, რომლებიც მუშაობენ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებით, ასევე მეცნიერ-ეკონომისტების, სტატისტიკოსებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული ყველა ადამიანის მიერ.

## თავი 1. საარსებო მინიმუმის კვლევის მეთოდოლოგიური საკითხები

### 1.1 საარსებო მინიმუმის თეორიული საფუძვლები და მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

თანამედროვე ეტაპზე, სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა მრავალ სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული და საზოგადოებისათვის უმძიმეს პრობლემებს წარმოადგენს. სიღარიბე რთული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, ხოლო ის რიცხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც დროის გარკვეული მომენტისათვის გვიჩვენებენ სიღარიბის დონეს ამა თუ იმ ქვეყანაში ან რეგიონში, საკმარისი არ არის, რადგან სიღარიბე თავისთავად ვერ წარმოიშვება და ამ შემთხვევაში აუცილებელია განვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ სიღარიბის არსებობას. მათგან ამოსავალ პრობლემას წარმოადგენს შემოსავლების უკმარისობა, რადგან შემოსავლები განსაზღვრავს სიღარიბის ზღვარს ზემოთ და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანთა კატეგორიას. მოსახლეობის შემოსავლები განსაზღვრავს მათ განაწილებას

სოციალური სტატუსის მიხედვით. ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე პირები მიეკუთვნებიან მდიდართა ფენას, ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე პირები კი – ღარიბთა ფენას.

სიღარიბე არის ადამიანის ფიზიოლოგიური და სულიერი განვითარების მინიმალურ დონეზე

საჭირო შემოსავლების უკმარისობა. იგი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ქვედა ზღვარს, ხოლო ამ ზღვარის გავლება ხდება საარსებო მინიმუმით.

საარსებო მინიმუმი წარმოადგენს ფულადი სახსრების მინიმუმს, რომელიც აუცილებელია ადამიანის შრომისუნარიანობის შენარჩუნებისთვის. ის წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის ზღვარს, გავლებულს საშუალო ფენასა და ღარიბებს შორის.



ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ შეფარდებით და აბსოლუტურ სიღარიბეს.

შეფარდებითი მიდგომით ღარიბია მოსახლეობის ის კატეგორია, რომელთაც გააჩნიათ უფრო ნაკლები მატერიალური უზრუნველყოფის დონე, ვიდრე მოცემულ ქვეყანაში მცხოვრებ უმდიდრეს ფენას. ამ შემთხვევაში შედარება უნდა მოხდეს უღარიბესი ფენის საშუალო შემოსავლებსა და უმდიდრესი ფენის წარმომადგენელთა საშუალო შემოსავლებს შორის ურთიერთთანაფარდობის საფუძველზე.

აბსოლუტური მიდგომის საფუძველზე ღარიბად ითვლება შინამეურნეობა და ის მოქალაქეები, რომელთაც ობიექტურად განსაზღვრულ აბსოლუტურ მინიმუმზე ნაკლები რესურსები გააჩნიათ. ე.ი. ამ შემთხვევაში სიღარიბის ზღვარს წარმოადგენს საარსებო მინიმუმი, ხოლო მოსახლეობის ის კატეგორია მიეკუთვნება ღარიბებს, რომელთა შემოსავლებიც არ აღემატება საარსებო მინიმუმს.

საარსებო მინიმუმი გამოითვლება შემდეგი წესით: საარსებო მინიმუმი = მინიმალური სასურსათო კალათა +

მინიმალური არასასურსათო კალათა (საქონელი და მომსახურება).

მინიმალური სასურსათო კალათა მოიცავს შემდეგი სახის პროდუქციას: ხორბლის პური, ხორბლის და სიმინდის ფქვილი, ლობიო, ბრინჯი, ხორცი, თევზი, ძეხვეული, რძე და რძის ნაწარმი, კვერცხი, ზეთი და სხვ (იხ. ).

მინიმალური არასასურსათო კალათა აერთიანებს: ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს; ოჯახისათვის აუცილებელ საყოფაცხოვრებო ნივთებს; პირად ჰიგიენურ ნივთებსა და მომსახურებას; სამედიცინო მომსახურებას და საოჯახო აფთიაქს; სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ხარჯებს. მინიმალურ არასასურსათო კალათაში შეიძლება ასევე გავაერთიანოთ გადასახადები და შენატანები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ კომუნალურ გადასახდელებს: წყლის, ელექტროენერჯის, გაზის, დასუფთავების, ტელეფონისა და ინტერნეტის გადასახადი.

უფრო დეტალური სახით წარმოდგენისთვის საარსებო მინიმუმის გაანგარიშება შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახითაც: საარსებო მინიმუმი =

მინიმალური სასურსათო კალათა + მინიმალური არასასურსათო კალათა + გადასახადები და შენატანები.

მინიმალურ სასურსათო კალათას დამატებული მინიმალური არასასურსათო კალათა კი უდრის მინიმალურ სამომხმარებლო კალათას.

მინიმალური სასურსათო კალათა ეწოდება კვების პროდუქტების იმ ნაკრებს, რაც ფიზიოლოგიური ნორმების, მათი კალორიულობისა და საბაზრო ფასების მიხედვით, მინიმალურად მაინც საჭიროა ადამიანის ფიზიკური არსებობის, განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. თითოეული ქვეყნისთვის მოხმარების ფიზიოლოგიურ ნორმებს ანგარიშობს შესაბამისი სამედიცინო, შრომისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, მოცემულ ქვეყანაში ადამიანთა ასაკობრივი, სქესობრივი, ცხოვრების ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ისტორიული ტრადიციების, კულტურისა და სხვათა გათვალისწინებით.

საქართველოში საარსებო მინიმუმის მიმართ მწვავე საზოგადოებრივი კრიტიკა

არსებობს, რაც უკავშირდება მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიას და ამის შედეგად მიღებული საარსებო მინიმუმის ფულად ღირებულებას, რომელიც არ ასახავს საქართველოში სიღარიბის ზღვარის რეალურ სურათს.

სიღარიბის ზღვარის ზევით აწევით ან ქვევით დაწევით, ქვეყანაში მდგომარეობა არ შეიცვლება, ამისათვის სწორად უნდა განვსაზღვროთ „რეალური“ საარსებო მინიმუმის დათვლის მიზანი და საჭიროება. საარსებო მინიმუმი საზომი საშუალებაა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სიღარიბის დამლევის პოლიტიკის წარმართვა, საარსებო მინიმუმის დათვლა კი ზუსტი პოლიტიკის გატარებაში წარმატების პირველი საფეხურია.

სახელმწიფომ პრიორიტეტულ ამოცანად უნდა დაისახოს ქვეყანაში სიღარიბის დამლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა, ხოლო საარსებო მინიმუმი არის ორიენტირი სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის წარმართვაში, რაც მდგომარეობს შემდეგში:


1. ასახოს ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონის ცვლილებები (უნდა

- განისაზღვროს მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილი, მათ შორის ღარიბი და ლატაკი მოსახლეობის რიცხოვნობა);
2. პენსიებისა და შემწეობების, სხვა სოციალური პაკეტების მინიმალური ოდენობის განსაზღვრა;
  3. შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის გათანაბრება საარსებო მინიმუმთან (მინიმალური ხელფასის კანონის მიღება);
  4. საარსებო მინიმუმს დაბლა შემოსავლების გადასახადისაგან გათავისუფლება (დაუბეგრავი მინიმუმი).

განვიხილოთ საარსებო მინიმუმის ცვლილებები წლების განმავლობაში (დიაგრამა1): 1997 წლიდან 2003 წლამდე საარსებო მინიმუმი იზრდება და მაქსიმალურ ნიშნულს 2003 წელს აღწევს – 130.7 ლარი. მომდევნო წელს საარსებო მინიმუმი 1.6-ჯერ შემცირდა, რაც გამოწვეული იყო სასურსათო კალათაში

შემავალი საკვები პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულების შემცირებითა და ძვირადღირებული პროდუქტების შედარებით იაფფასიანი პროდუქტების ჩანაცვლებით, ხოლო სასურსათო კალათის ფულადი ღირებულების შემცირებამ განაპირობა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების შემცირება. ცხადია, საარსებო მინიმუმის ამ დონით შემცირება მნიშვნელოვნად განაპირობებდა სიღარიბის დონის კლებას, რაც მიღწეულ იქნა არა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების შედეგად, არამედ სიღარიბის ზღვარის ხელოვნურად დაწვევის საშუალებით.

დიაგრამა 1. შრომისუნარიანი ასაკის (15-დან 65 წლამდე) მამაკაცის საარსებო მინიმუმი<sup>1</sup> (ლარი)



საქართველოსა და მისი მეზობელი პოსტსოციალისტური ქვეყნების საარსებო მინიმუმის შედარება ლარებში გვიჩვენებს, რომ საქართველო სამივე მათგანს ჩამორჩება. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით სომხეთში 2012 წელს სიღარიბის ზედა ზღვარმა შეადგინა 153.2 ლარი (37 044 დრამი),<sup>2</sup> რუსეთში – 346.3 ლარი (6510 რუბლი),<sup>3</sup> ხოლო აზერბაიჯანში – 251.7 ლარი (119.3 მანათი).<sup>4</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი – 1999 წ., გვ.73; 2000 წ., გვ.80; 2002 წ., გვ. 80; 2004 წ., გვ.85; 2007 წ., გვ.69; 2010 წ., გვ.51. და

[http://geostat.ge/?action=page&p\\_id=178&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo)

<sup>2</sup><http://www.armstat.am/file/doc/99478608.pdf>

<sup>3</sup> [http://www.gks.ru/bgd/regl/b13\\_12/IssWWW.exe/stg/d01/7-11.htm](http://www.gks.ru/bgd/regl/b13_12/IssWWW.exe/stg/d01/7-11.htm)

<sup>4</sup>[http://www.stat.gov.az/menu/6/statistical\\_yearbooks/indexen.php](http://www.stat.gov.az/menu/6/statistical_yearbooks/indexen.php)

**ცხრილი 1. შინამეურნეობათა შემოსავლები ერთ მოსახლეზე და საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი (ლარი) საქართველოში, 2004-2012 წლები<sup>5</sup>**

მაჩვენებლები წლები	შინამეურნეობათა შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე	საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი
2004	84.7	74.7
2005	92.3	84.9
2006	102.6	94.4
2007	115.2	105.0
2008	147.2	113.3
2009	154.5	114.1
2010	178.6	119.0
2011	195.2	139.7
2012	218.4	133.8
2013	–	132.0

შევადართ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი შინამეურნეობათა შემოსავლებს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ცხრილი 1). შინამეურნეობების შემოსავლები (ფულადი და არაფულადი) ერთ სულზე გაანგარიშებით აჭარბებს საარსებო მინიმუმს, მაგრამ ვნახოთ რას წარმოადგენს ეს თანხები 2003 წლის უცვლელი ფასებით, დეფლატორის გამოყენებით, რაც უდრის 1.68-ს.<sup>6</sup> 2012 წელს შინამეურნეობათა საშუალო შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგენდა  $218.4:1.68=130.0$  ლარს, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი  $133.8:1.68=79.6$  ლარს. თუ გავითვალისწინებთ 2012 წლის ლარის დოლარზე გაცვლის საშუალო კურსს<sup>7</sup>, მაშინ საქართველოში შინამეურნეობათა საშუალო სულადობრივი შემოსავალი შეადგენს  $130.0:1.651=78.7$  დოლარს, ხოლო საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი  $79.6:1.651=48.2$  დოლარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ბანკის დებულებით ღარიბად ითვლება პიროვნება, რომელსაც დღეში შემოსავალი 2 დოლარზე ნაკლები აქვს, მაშინ საქართველოში ყველა შინამეურნეობა საარსებო მინიმუმით სიღარიბეშია, ხოლო საშუალო შემოსავლების მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით გამოვიდა სიღარიბიდან, რაც წინა წლების ტენდენციებიდან გამომდინარე დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

<sup>5</sup>[http://geostat.ge/?action=page&p\\_id=181&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=181&lang=geo)

<sup>6</sup>ამავე თემაში გვ. 57

<sup>7</sup>[http://geostat.ge/?action=page&p\\_id=316&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo)

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების შედეგად გაიზრდება „რეალური“ სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა, ვინაიდან გაიზრდება მოთხოვნილებები იმ პროდუქტებზე, რომლებსაც დღეს ფუფუნების საგნად მივიჩნევთ, ასევე მოხდება მინიმალური

სამომხმარებლო კალათის შემადგენლობის განახლება, რომელიც სასურსათო მინიმუმთან ერთად განსაზღვრავს საარსებო მინიმუმს. ამიტომაც არის, რომ როგორც სასურსათო, ისე არასურსათო კალათა მუდმივ მონიტორინგს და პერიოდულად მის გადახედვას მოითხოვს.

## 1.2 საქართველოში არსებული საარსებო მინიმუმის გაანგარიშება და კვლევის მეთოდოლოგიური ხარვეზები

საარსებო მინიმუმი არის ერთ მოსახლეზე სამომხმარებლო საქონლის ღირებულებითი გამოხატულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შესაბამისად უზრუნველყოფს ადამიანის მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.<sup>8</sup>

დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის #111/ნ ბრძანების შესაბამისად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და

განვიხილოთ საქართველოს საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია.

<sup>8</sup> იხ. საქართველოს კანონი „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“, მუხლი 2. საარსებო მინიმუმის ცნება

საარსებო მინიმუმი დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის

საფუძველზე. საქართველოში მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის შეადგენს 2300.0 კ.კალორიას დღიური მოხმარებისათვის და შედგება 40 დასახელების პროდუქციისაგან.<sup>9</sup>

პირველ რიგში ხდება მინიმალური სასურსათო კალათის საკვები პროდუქტების მთლიანი შემადგენლობის ღირებულების დათვლა საქართველოს 5 ქალაქის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი და თელავი) გასაშუალოებული ფასების შეწონილი საშუალოს დათვლით.<sup>10</sup> მიღებული ფასები წარმოადგენს თითოეული პროდუქტის საშუალო ფასს ქვეყანაში.

შემდეგ ანგარიშობენ შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცზე სასურსათო კალათის საშუალო თვიურ ღირებულებას, რომელიც მიიღება კალათაში შემავალი პროდუქტების თვიური ნორმისა და თითოეული ამ პროდუქტის საშუალო ფასის ნამრავლით.

<sup>9</sup> [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/saaresebo%20minimumis%20gaangarisheba.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/saaresebo%20minimumis%20gaangarisheba.pdf)  
<sup>10</sup> წონებად გამოიყენება აღნიშნული 5 ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა.

ბოლოს კი მინიმალური სასურსათო კალათის თვიური შუალედური ღირებულება მრავლდება შევაჭრების კოეფიციენტზე, აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენს 0.865-ს.

საარსებო მინიმუმის ღირებულებაში სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, შესაბამისად, არასასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 30%-ით. არასასურსათო კალათის ღირებულება გამოითვლება შემდეგი პროპორციიდან.

0.7 \_ მიღებული სასურსათო კალათის ღირებულება.

0.3 \_ X ლარი.

საარსებო მინიმუმი = სასურსათო კალათის ღირებულება + არასასურსათო კალათის ღირებულება.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება საჭიროებს, თავიდან გადაიხედოს მისი გამოთვლის შემდეგი საკითხები:

1. პირველ რიგში უნდა მოხდეს შრომისუნარიანი მამაკაცისათვის განსაზღვრული კვების პროდუქტების კ.კალორიულობის დღიური ნორმის დადგენა. დღეს ის 2300.0 კ.კალორიას

შეადგენს და გამოსარკვევია, რამდენად უზრუნველყოფს ადამიანის შრომისუნარიანობის შენარჩუნებას, ვინაიდან თუ ამ მოცულობით საკვების მიღება მხოლოდ სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს ადამიანს, ის იქნება არა სიღარიბის, არამედ სიღატაკის ზღვარი. მოცემული სამუშაო კი ცხადია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მხრიდან არის ჩასატარებელი და მოიცავს:

ა) მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენელი კვების პროდუქტების ჩამონათვალის დაზუსტებას.

ბ) თითოეული ჩამონათვალი პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულების განსაზღვრასა და საკვები პროდუქტების კკალორიების საერთო რაოდენობის დადგენას შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის.

2. პროდუქტების ფასების დათვლა სასურველია მოხდეს 8 ქალაქში რეგიონული ცენტრების მიხედვით. კახეთი – თელავი, ქვემო ქართლი – მარნეული, შიდა ქართლი – გორი, იმერეთი – ქუთაისი, სამცხე-ჯავახეთი – ახალციხე, სამეგრელო – ზუგდიდი, აჭარა – ბათუმი და თბილისი.

3. მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულების მიხედვით საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისას გადასასინჯია სასურსათო ხარჯების წილი საარსებო მინიმუმში (70/30). საარსებო მინიმუმში მინიმალური სასურსათო კალათისა და არასასურსათო ხარჯების წილი (70/30) XX საუკუნის 90-იან წლებში განისაზღვრა და მას შემდეგ ეს მეთოდი გამოიყენება, რაც უკვე მოძველებულია და თავიდან გადახედვას მოითხოვს, ვინაიდან მცირდება სამომხმარებლო ხარჯებში სურსათზე გაწეული ხარჯების წილი, ამის დასტურია შემდეგი თანაფარდობები: 1997 წელს სურსათზე გაწეული ხარჯების წილი სამომხმარებლო ხარჯებში შეადგენდა 53.5%-ს, 1998 წელს – 55.0%-ს.<sup>11</sup> 2012 წელს კი ეს წილი 32.3%-მდე<sup>12</sup> შემცირდა. თუ საშუალო მომხმარებლის მიერ სურსათის შეძენაზე გაწეული ხარჯები სამომხმარებლო ხარჯებში მცირდება, ეს უნდა აისახოს საარსებო მინიმუმში სასურსათო და არასურსათო ხარჯების თანაფარდობაზეც.

შრომისუნარიანი მამაკაცისათვის საკვები პროდუქტების ენერგეტიკული

<sup>11</sup> იხ. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 1999, გვ.72

<sup>12</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=184&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=184&lang=geo)



ღირებულების შესადარებლად საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან, გეოგრაფიული და რელიგიური ფაქტორების გათვალისწინებით, სომხეთი ყველაზე მეტად შესადარისია. სომხეთში მინიმალურ სასურსათო კალათაში შედის:<sup>13</sup> საკონდიტრო ნაწარმი, ხორცი, თევზი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, ზეთი, შაქარი, ბოსტნეული, ხილი, უალკოჰოლო სასმელი და სხვა საკვები პროდუქტები, რომელთა დღიური ენერგეტიკული ღირებულება 2232.0<sup>14</sup> კ.კალორიას შეადგენს. მოცემული მაჩვენებელი მიახლოებულია საქართველოს ანალოგიური მაჩვენებლის მნიშვნელობასთან, თუმცა განსხვავება მაინც არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკვები პროდუქტების ენერგეტიკულ ღირებულებებთანაა ჯამი მეტია ვიდრე სომხეთში, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ქვეყანაში საკვები პროდუქტების (კ.კალორიულობის გათვალისწინებით) იმ რაოდენობით მიღება, რაც დადგენილია, უზრუნველყოფს ზრდასრული ადამიანის შრომისუნარიანობის შენარჩუნებასა და მის გონებრივ განვითარებას. ამიტომაც

<sup>13</sup>

[http://www.armstat.am/file/article/poverty\\_2012e\\_2.pdf](http://www.armstat.am/file/article/poverty_2012e_2.pdf)

<sup>14</sup>

[http://www.armstat.am/file/article/poverty\\_2012e\\_2.pdf](http://www.armstat.am/file/article/poverty_2012e_2.pdf)

მნიშვნელოვანია, რომ დღეს, ცხოვრების სტანდარტებისმატებისა და არასასურსათო პროდუქტებზე არსებული მაღალი მოთხოვნილებების ფონზე, მოხდეს სასურსათო კალათის გადასინჯვაც და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება.

სომხეთში მინიმალური სასურსათო და მინიმალური არასასურსათო კალათების პროპორცია შეადგენს 70/30-ს, ანალოგიური პროპორციით (70/30) ხასიათდება საქართველოს კიდევ ერთი მეზობლის, აზერბაიჯანის მინიმალური სამომხმარებლო კალათა, სადაც საკვები პროდუქტების დღიური მოხმარების ენერგეტიკული ღირებულებაა 2200.0 კ.კალორია.<sup>15</sup>

საინტერესო პრაქტიკის მქონეა ყაზახეთის მაგალითი,<sup>16</sup> სადაც მინიმალურ სასურსათო და არასასურსათო კალათების პროპორციები 70/30-ზე შეადგენდა 2006 წლამდე, ხოლო 2006 წლის შემდეგ საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია იცვლება და სასურსათო

<sup>15</sup>

[http://www.stat.gov.az/menu/6/statistical\\_yearbooks/indexen.php](http://www.stat.gov.az/menu/6/statistical_yearbooks/indexen.php)

<sup>16</sup> The Methodologies of the Subsistence Minimum Determination in Kazakhstan: the Ways and Approaches to Improve\_ pg. 16-22

და არასასურსათო კალათების წილები მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში 60/40-ზე შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ სასურსათო კალათის შემადგენლობასთან ერთად განიხილავენ ფსევდო-არასასურსათო კალათას (*Pseudo-non-food Basket*), რომელიც აერთიანებს: ტანსაცმელს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, საბინაო ხარჯებს (მათ შორის კომუნალურ ხარჯებს), განათლების, ჯანდაცვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს. მოცემული მეთოდოლოგია იმეორებს აშშ-სა და კანადის მეთოდოლოგიებს, რომელიც საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისას იყენებს ფსევდო-არასასურსათო კალათის ღირებულებას.

მონტენეგროში კი მინიმალური დღიური ენერგეტიკული ღირებულება 2 211 კკალორია, ხოლო მინიმალური სასურსათო კალათის წილი მთლიან მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში 31.1%-ს შეადგენს.<sup>17</sup> მიუხედავად იმისა, რომ კვებითი პროდუქტების დღიური ენერგეტიკული ღირებულება ნაკლებია საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელზე, მინიმალურ არასასურსათო კალათა

აერთიანებს: განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე გაწეულ ხარჯებს, არასასურსათო კალათაში ასევე გათვალისწინებულია სასტუმროების, რესტორნებისა და კაფეების მომსახურების დანახარჯები, რისი გათვალისწინებაც საქართველოს შემთხვევაში მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში არასასურსათო კალათის 30%-იანი წილის არსებობის შემთხვევაში ვერ მოხდება.

საქართველოში კკალორიულობის დღიური ნორმის მისაღებად სხვა ქვეყნების მოდელების გადმოღება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ყველა ქვეყანა განსხვავებულია მისი გეოგრაფიული და კულტურული თავისებურებების მიხედვით. ამ შემთხვევაში კვლევას საფუძვლად უნდა დაედოს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და საკვები პროდუქტების როგორც კკალორიულობის, ისე ამ პროდუქტების ჩამონათვალის მრავალფეროვნება უნდა განისაზღვროს კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე, მოსახლეობის მოთხოვნილებათა და ჯანსაღი კვების აუცილებლობის გათვალისწინებით.

კკალორიების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ 2003 წლამდე

<sup>17</sup> <http://www.monstat.org/eng/page.php?id=31&pageid=31>

საქართველოში სასურსათო კალათის დღიური ნორმა 2500 კილოკალორიაზე ითვლებოდა, 2003 წლის შემდეგ კი 2300 კილოკალორიაზე ანგარიშდება. 2300 კილოკალორია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნორმატიულ მაჩვენებელს, რომელიც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კონცეფციის შესაბამისად იქნა შემუშავებული, მაშინ, როცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდირებული მინიმალური ნორმა 2450-2500 კ.კალორიაა.

რაც შეეხება მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში სასურსათო და არასასურსათო კალათის ღირებულებების თანაფარდობას, აქ შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს სხვა ქვეყნების მაგალითები, თუმცა, საბოლოო შედეგი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დანახარჯების სტრუქტურული ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს.

## თავი 2. საარსებო მინიმუმის გაანგარიშება საქართველოში

### 2.1 სასურსათო კალათის ფორმირება და კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

საქართველოში საარსებო მინიმუმის კვლევისას თავდაპირველად მოხდა შრომისუნარიანი მამაკაცისთვის აუცილებელი მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობის ოპტიმიზაცია, რისთვისაც გამოყენებული იქნა:

1. საკანონმდებლო და სამთავრობო დოკუმენტაციის ე.წ. კონტენტ ანალიზი“;

2. ჩაღრმავებული ინტერვიუები;

3. საქსტატის კვლევის მიერ წარმოებული სასურსათო უსაფრთხოების შინამეურნეობრივი კვლევის შედეგები;

4. მიკრო-ნუტრიენტთა დეფიციტის (იოდის, რკინის, ვიტამინების და სხვ.) გავრცელების ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები საქართველოში;

5. ევროპის ქვეყნებში წარმოებული კვლევების მეტაანალიზის შედეგები. ანალოგიური გათვლების

მეთოდოლოგიის და გამოცდილების გაზიარება;

6. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები და ჰაიდლაინები ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ენერგეტიკულ მოთხოვნებსა და კვებით ნორმებთან დაკავშირებით, ენერგეტიკული და ნუტრიენტული გათვლების ონლაინ ვერსიები;

7. ჯანსაღი კვების ძირითადი პრინციპები (ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია).

საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო მინიმალური სასურსათო კალათის დადგენისას, საჭირო ენერჯის და ორგანიზმისათვის ნორმალური ფუნქციონირებისათვის (ჯანმრთელობის შენარჩუნების გათვალისწინებით) აუცილებელი საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) გათვლისათვის გათვალისწინებული იყო შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

- ასაკობრივი თავისებურებები;
- სქესობრივი თავისებურებები;
- კლიმატური თავისებურებები;
- სეზონური თავისებურებები;

- სასურსათო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის და მოხმარებადობის თავისებურებები;
- რეგიონული თავისებურებები;
- ეპიდემიოლოგიური თავისებურებები;
- ჯანსაღი კვების რეკომენდაციები (WHO);
- სხვა ქვეყნებში არსებული ანალოგიური პრაქტიკის თავისებურებები.

### 1. სქესობრივ-ასაკობრივი

ენერგეტიკული საჭიროება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით „ქმედუნარიანობის“ ასაკობრივი კატეგორიების გათვალისწინებით:

- 16-64 წელი (მამაკაცი).

### 2. კლიმატური

გათვალისწინებული იყო იმ კლიმატური ზონის მახასიათებლები, რომელშიც საქართველო იმყოფება (და მისი თითოეული რეგიონი).

### 3. სეზონური

სურსათის ბაზრის სეზონური თავისებურებების და საკვებ პროდუქტებზე სეზონური ფასების,

აგრეთვე გარემოს ტემპერატურის შესაბამისად საჭირო ენერჯისადმი ორგანიზმის მოთხოვნილებების თავისებურებების გათვალისწინებით განისაზღვრა 2 ტიპის სასურსათო კალათა:

- სასურსათო კალათა I, (მაისი-ოქტომბერი);
- სასურსათო კალათა II, (ნოემბერი-აპრილი).

### 4. ხელმისაწვდომობა და მოხმარებადობა

გათვალისწინებული იქნა ის გარემოებები თუ რამდენად მოთხოვნადია და ამავე დროს ხელმისაწვდომია (მოხმარებადია) ესა თუ ის საკვები პროდუქტი მოსახლეობის მიერ. (უპირატესობა ენიჭება - ადგილობრივი წარმოების პროდუქტებს). სასურსათო კალათის ჩამონათვალში შევიდა სასურსათო პროდუქტის ის სახეობები, რომელთა შეძენაც შესაძლებელია თავისუფლად წელიწადის დროის მოცემული პერიოდისათვის. შესწავლილი იქნა პროდუქტის მოხმარების სიხშირის შესწავლის კვლევების მონაცემები და სასურსათო კალათისთვის აღებული იქნა ის პროდუქტები, რომელთა მოხმარების მაჩვენებელი იყო მაღალი.

## 5. რეგიონული

გათვალისწინებულია სხვადასხვა რეგიონებში კვების და საკვები პროდუქტების მოხმარების კულტურული, ტრადიციული და რელიგიური მახასიათებლები და პროდუქტის ფასთა სხვადასხვაობები.

## 6. ეპიდემიოლოგიური

მწვავე და ქრონიკულად არასაკმარისი კვება კარგად არის დოკუმენტირებული ჯანმოსწევრ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. რეგიონის ზოგ ქვეყანაში 5 წლამდე ასაკის ყოველი მესამე ბავშვი ზრდის განვითარებაში ჩამორჩება. რკინა-დეფიციტური ანემია მცირეწონიანი ბავშვების დაბადების რისკს ზრდის. ცენტრალურ აზიაში გაიზარდა რკინის დეფიციტით გამოწვეული დაავადებები. ანემიის დაახლოებით 2 მილიარდი შემთხვევა აღირიცხება მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებში, სხვადასხვა გენეზის ანემიათა შორის რკინა-დეფიციტურ ანემიაზე (რდა) მოდის 70-80%. ის ყველაზე ხშირად გვხვდება რეპროდუქციული ასაკის ქალებში, ორსულ და მეძუძურ ქალთა შორის,

აგრეთვე ადრეული და პუბერტატული ასაკის ბავშვებში. განსაკუთრებით მაღალია ავადობის სიხშირე დაბალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში (არასრულფასოვანი კვება - რკინით, ცილებითა და ვიტამინებით ღარიბი საკვები პროდუქტების მიღება, სამედიცინო მომსახურების დაბალი ხელმისაწვდომობა). განვითარებულ ევროპის ქვეყნებში ქალებისა და ბავშვების რდა ავადობა შეადგენს 7-14%. განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 40%-ზე მეტია (ანემიის გავრცელების მაჩვენებელი ორსულ ქალებსა და 2 წლამდე ასაკის ბავშვებში აღწევს 50%-ს). აზიის ზოგიერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 65-70% აღწევს. მსოფლიოში ორსული ქალების თითქმის ნახევარი სავარაუდოდ ანემიურია. ბოლო წლებში რდა ავადობამ მოიმატა საქართველოშიც.

მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული იოდის დეფიციტით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები, მსოფლიოს მოსახლეობის 35.2% განიცდის იოდის მიღების ნაკლებობას. ეს პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავეით ევროპის მოსახლეობაში შეინიშნება, სადაც ეს მონაცემი 56.9%-ს აღწევს. შედარებით მაღალია ანალოგიური ციფრები სასკოლო

ასაკის ბავშვებში (36.5% და 59.9%). ბავშვებში იოდის დეფიციტი იწვევს გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხებას, იმუნიტეტის დაქვეითებას და ენდემური ჩიყვის განვითარებას. იოდის დეფიციტი ორსულობის პერიოდში ასოცირდება მკვდრადშობადობის, ნაადრევი მშობიარობის მაღალ რისკთან და ასევე ნაყოფის ფიზიკური და გონებრივი განვითარების ჩამორჩენასთან. რეპროდუქციული ასაკის ქალებში (15-49 წ.) იოდდეფიციტი იწვევს რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევასა და უშვილობას. მოზრდილ მოსახლეობაში იოდდეფიციტით გამოწვეული ჩიყვი და ჰიპოთირეოზი ხშირად ფიზიკური სისუსტის და ინტელექტის დაქვეითების მიზეზი ხდება. იოდის დეფიციტის გავრცელება გარკვეულწილად შემცირდა 2003-2011 წლების პერიოდში, იოდირებული მარილის უნივერსალური მოხმარების წყალობით, თუმცა მსოფლიოს 38 ქვეყანას კვლავაც მწვავედ უდგას ეს პრობლემა.

კალციუმი ორგანიზმისათვის საჭირო ერთ-ერთი მინერალია, რომელიც პასუხს აგებს ჯანმრთელი ძვლების, კბილების, კუნთების, ნერვული სისტემის, გულის კუნთის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

ოსტეოპოროზი ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელთან გამკლავება ორივე სქესის ხანდაზმულ ადამიანებს უწევთ. ოსტეოპოროზის მტკივნეული შედეგია მოტეხილობა; ძვლის მასის შემცირება დაკავშირებულია მოტეხილობის მაღალ რისკთან. ყოველწლიურად აშშ-ში დაახლოებით 1,5 მილიონი ადამიანის ძვლის მოტეხილობის მიზეზი ოსტეოპოროზთან არის დაკავშირებული. მენჯის ძვლის მოტეხილობიდან შემდეგი 6 თვის განმავლობაში ავადმყოფების 10%-20%-ში სიკვდილობა ფიქსირდება. დაზარალებულების 50%-ს არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილდება, ხოლო 25% საჭიროებს ხანგრძლივ სამედიცინო დახმარებას სახლში. მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი ფაქტორია ავადმყოფობა და ტანჯვა, რომელიც თან ახლავს მოტეხილობას. მკურნალობის ხარჯები კი კოლოსალურ ციფრებს აღწევს.

სასურსათო კალათის ფორმირებისას გათვალისწინებული იქნა მიკრონუტრიენტთა დეფიციტური მდგომარეობა საქართველოს მოსახლეობაში (ვიტამინების, რკინის, იოდის, ფოლიუმის, კალციუმის, და სხვ).

შერჩეული იქნა ისეთი პროდუქტების ჩამონათვალი და განისაზღვრა დღიური მიღების ის ოდენობები, რომელიც დააკმაყოფილებს ორგანიზმის მოთხოვნილებებს ამა თუ იმ მიკრონუტრიენტის მიმართ, რათა თავიდან იქნას აცილებული ესა თუ ის დეფიციტი.

## 7. ჯანსაღი კვების რეკომენდაციები

არაჯანსაღი კვება მოიაზრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტად არაგადამდებ დაავადებათა რისკებს შორის. არასათანადო ცოდნით და არაჯანსაღი კვებითი ქცევებით მრავალი ქრონიკული დაავადება შეიძლება განვითარდეს (დიაბეტი, კარდიოვასკულური დაავადებები, ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებები, იოდის, რკინის და სხვა მიკრონუტრიენტების დეფიციტით გამოწვეული დარღვევები, ოსტეოპოროზი, სიმსუქნე, კარიესი და სხვ.), რომელთა ხვედრითი წილი მსოფლიოში საერთო სიკვდილობის დაახლოებით 60%-ს შეადგენს და რომელთა თავიდან აცილებაც ადვილადაა შესაძლებელი თავად მოსახლეობის და კონკრეტულად თითოეული ინდივიდის მიერ, ჯანსაღი

კვების პრინციპების სისტემატური დაცვით (ჯანსაღი კვებითი ქცევებით). უარყოფითი კვების ფაქტორი და დაბალი ფიზიკური აქტივობა განაპირობებს დიაბეტის შემთხვევების დაახლოებით 60%-ის, ძუძუს, ნაწლავისა და პროსტატის კიბოს შემთხვევების 35%-ის, ართრიტების 25%-ის, გულის კორონარული დაავადებებისა (CHD) და ინსულტის შემთხვევების დაახლოებით 20%-ის განვითარებას.

ჯანდაცვის სექტორის ძირითადი მიმართულება ამ სფეროში ჯანმრთელობის გაუმჯობესებაა კარგად დაბალანსებული კვების, კვებითი დეფიციტის პროფილაქტიკის, საკვებით გამოწვეულ დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის საშუალებით. კვება მნიშვნელოვანი ფაქტორია ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. კვებასთან დაკავშირებული ქრონიკული დაავადებები წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის უდიდეს ტვირთს, ვინაიდან, ერთის მხრივ, იგი დაკავშირებულია პირდაპირ ხარჯებთან საზოგადოებისა და მთავრობისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, მათგან გამოწვეული მდგომარეობები ამცირებენ ჯანმრთელი



სიცოცხლის წლებს და/ან სიცოცხლის ხანგრძლივობას საერთოდ.

**კვებასთან ასოცირებული დაავადების გამოწვევი ძირითად რისკ-ფაქტორებად მაინც რჩება პროდუქტები – ცხიმის მაღალი შემცველობით, ცხიმოვანი მჟავების ტრანს-იზომერები, შაქარი და მარილი.** ავადობის ზრდის ტენდენციის შესაჩერებლად საჭიროა ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული ქცევითი ჩვევების მოდიფიცირება. თვალნათელია ფუნდამენტური მიზეზი – სწრაფი კვება და ნახევარფაბრიკატების როლი კვებასთან ასოცირებული დაავადებების ჩამოყალიბების პროცესში.

კალათაში სასურსათო პროდუქტის შერჩევასა და გათვალისწინებული იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რჩევები და რეკომენდაციები ჯანსაღი კვების სფეროში, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

ექვგარეშეა, რომ ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია სწორ, ბალანსირებულ კვებაზე. ადეკვატური კვებით შესაძლებელია მთელი რიგი ქრონიკული დაავადებების (დიაბეტი, კარდიოვასკულური დაავადებები,

ავთვისებიანი სიმსივნური დაავადებები, იოდის და სხვა მიკრონუტრიენტების დეფიციტით გამოწვეული დარღვევები, ოსტეოპოროზი, სიმსუქნე, კარიესი და სხვ) თავიდან აცილება, რომელთა ხვედრითი წილი მსოფლიოში საერთო სიკვდილიანობის დაახლოებით 60%-ს შეადგენს.

კვება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის მიერ დახარჯულ ენერგიას, რომელიც დამოკიდებულია ზრდაზე, ასაკზე, სხეულის მასაზე, ცხოვრების პირობებზე, საქმიანობის სახეობაზე, კლიმატზე. ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე (ფეხმძიმობა, მეძუძურობა). საკვები ნივთიერებების განსაზღვრულმა რაოდენობამ და პროპორციამ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები. სურსათი უნდა იყოს უვნებელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უნდა განაწილდეს სწორად დღის განმავლობაში.

არსებობს სწორი კვების პრინციპები, რომელთა დაცვაც სწორად არეგულირებს ადამიანის კვებას. ანუ განსაზღვრავს იმ სასურსათო

პროდუქტებს და დღიური მიღების იმ ნორმებს, რომელიც, უზრუნველყოფს ორგანიზმს ენერჯის და საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) საჭირო რაოდენობით და ამავე დროს უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

**ძირითადი რჩევები სწორი (ჯანსაღი) კვებისათვის:**

- იკვებეთ ბალანსირებულად. მიიღეთ მრავალფეროვანი სურსათი, ამასთან უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეული წარმოშობის სურსათს ცხოველურთან შედარებით;
- მიიღეთ მრავალფეროვანი ბოსტნეული და ხილი, სულ მცირე 400 გრამის ოდენობით დღეში, უმჯობესია ახალი და ადგილობრივი წარმოების. თავი შეიკავეთ ჩაის მიღებისაგან მაშინ, როცა მიირთმევთ რკინით მდიდარ სურსათს (ბოსტნეული, პარკოსნები და სხვ.), ვინაიდან ჩაი ხელს უშლის რკინის შეთვისებას;
- აკონტროლეთ ცხიმების მიღება. შეამცირეთ ცხიმოვანი სურსათის მოხმარება და უპირატესობა მიანიჭეთ მცენარეულ ცხიმებს (ზეთებს) ცხოველურთან შედარებით;

- მიირთვით ნაკლებციხმიანი რძე და რძის პროდუქტები მარილის დაბალი შემცველობით;
- დღეში რამდენიმეჯერ მიირთვით პური, მარცვლოვანი პროდუქტები, მაკარონის ნაწარმი, ბრინჯი;
- შეცვალეთ თქვენს მენიუში - ცხიმოვანი ხორცი და ხორცის ნაწარმი უცხიმო ხორცით, თევზით, შინაური ფრინველის ხორცით ან ლობიოთი და სხვა პარკოსნებით;
- მაქსიმალურად შეამცირეთ ალკოჰოლური სასმელების მიღება;
- აირჩიეთ სურსათი, რომელიც შეიცავს ნაკლები რაოდენობით მარილს. ნუ დაამატებთ მომზადებულ კერძს მარილს. შეზღუდეთ მისი მიღება 5 გრამამდე დღეში (კერძის მარილის ჩათვლით). **მოიხმარეთ მხოლოდ იოდირებული მარილი;**
- შეარჩიეთ სურსათი, რომელიც შეიცავს ნაკლები რაოდენობით შაქარს, ნაკლებად მიიღეთ რაფინირებული შაქარი და ტკბილეული, შეცვალეთ ტკბილი სასმელები კეთილხარისხოვანი წყლით.

## 2.2 საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სიახლეები და მისი პრაქტიკული გამოყენება

არსებული საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია პირველ თავში განვიხილეთ, ასევე დავწერეთ ხარვეზების შესახებ და დავსახეთ მისი სრულყოფის გზები, რასაც უკვე პრაქტიკულად წარმოვადგენთ.

ჩვენი გაანგარიშებით, შრომისუნარიანი მამაკაცისათვის დღიურად მისაღები კ.კალორიების რაოდენობა არ უნდა იყოს 2500.0 კ.კალორიაზე ნაკლები, რასაც შემდეგნაირად ვასაბუთებთ: შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას ვყოფთ 3 გამსხვილებულ ასაკობრივ კატეგორიად, ხოლო წონებად ვიღებთ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობას (ცხრილი 2). მოცემული ცხრილის მიხედვით, შრომისუნარიანი მამაკაცის დღიურად მისაღებმა ენერგეტიკულმა ღირებულებამ შეადგინა 2541.1 კკალორია, ხოლო მისი დამრგვალებით, დღიურ ნორმად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2500.0 კ.კალორია.

**ცხრილი 2. შრომისუნარიანი მამაკაცისათვის დღიურად აუცილებელი საკვები პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულება**

ასაკობრივი ჯგუფები	დღიური ენერგეტიკული ღირებულება, კკალ <sup>18</sup>	შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წონები <sup>19</sup>	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
14-18	2750.89	0.070	192.1
19-59	2533.40	0.883	2237.5
60-64	2373.27	0.047	111.5
<b>სულ</b>	–	<b>1.0</b>	<b>2541.1</b>

ძირითადი პრინციპი რომელსაც დაეყრდნო ენერგეტიკული გათვლები, იყო ის, რომ დაკმაყოფილებული ყოფილიყო ორგანიზმის საბაზისო მეტაბოლური მოთხოვნილებები (BMR) და უზრუნველყოფილი ყოფილიყო ორგანიზმი დამატებითი ენერგიით,

<sup>18</sup> ANNEX 1: Energy requirements for emergency-affected populations Developing country profile (demography and anthropometry); Kilocalories per day, pg.38

<sup>19</sup>

[http://geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=473&lang=eng](http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=473&lang=eng)

რომელიც საჭიროა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის ზომიერი ფიზიკური დატვირთვის პირობებში, რათა სრულფასოვნად შეძლოს შრომა (დასაქმების პირობებში).

კ.კალორიების ზრდა ამავე დროს მოითხოვს მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობის გადახედვასა და თითოეული საკვები პროდუქტისადმი მისი შესაბამისი კ.კალორიის მინიჭებას.

პროდუქტთა ქიმიური შემადგენლობა (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) და მათი ენერგეტიკული ღირებულება შესულია სასურსათო კალათაში, სადაც აღებულია „სურსათის კომპოზიციური ცხრილები“ (2009, თბილისი) პირველი გამოცემიდან და ინტერნეტ-გვერდებიდან.<sup>20</sup>

ცხრილებში მოცემული ენერგეტიკული ნუტრიენტებისა (ცილების, ცხიმები, ნახშირწყლები) და ენერჯის გათვლები გაკეთებულია პროდუქტთა იმ რაოდენობიდან, რომლებიც ცხრილებშია (სასურსათო კალათებში) მითითებული. საბაზისო მონაცემები საიდანაც მოხდა

გათვლები მოცემულ რაოდენობებზე, აღებულია თითოეული პროდუქტის „საკვებად გამოყენებადი ნაწილის“ 100 გრამზე გაკეთებული კომპოზიციების (შემადგენლობების) მონაცემთა ბაზებიდან.

აქამდე არსებულ 40 დასახელების პროდუქტს დაემატა ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა: შვრია, კიტრი, მწვანილი, ბარდა, წითელი წიწაკა, ბულგარული წიწაკა, ფხალი (ისპანახი), ხილის ჩირი, სუნელები და საწებლები, ასევე მოხდა თესლოვანი, კურკოვანი, სუბტროპიკული და კენკროვანი ხილის გამრავალფეროვნება, რომლებიც აუცილებელია ადამიანის დღიური რაციონისთვის.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშებაში ასევე მნიშვნელოვანია მინიმალური სასურსათო პროდუქტების 2 კალათად განხილვა, ვინაიდან იმ პროდუქტებმა და მათ შორის ხილმა, რომლებიც სეზონურია, გავლენა არ მოახდინოს ფასებზე. ასე მაგალითად; ისეთი ხილი, როგორიცაა მაგალითად საზამთრო, შეტანილი იქნას ზაფხულის სასურსათო კალათაში და ამოღებული იყოს ზამთრის სასურსათო კალათიდან, ხოლო მანდარინი უნდა შევიტანოთ

<sup>20</sup><http://caloriecount.about.com/>; <http://calorielab.com/>; [www.fatsecret.com](http://www.fatsecret.com/); <http://www.calorie-charts.net/>

ზამთრის სასურსათო კალათაში და არ მოხდეს მისი განმეორება ზაფხულის კალათაში. ამიტომაც მნიშვნელოვანია სასურსათო კალათა გავყოთ შემდგენაირად: მინიმალური სასურსათო

კალათა I (გაზაფხული-ზაფხული) და მინიმალური სასურსათო კალათა II (შემოდგომა-ზამთარი).

### ცხრილი 3. მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობა

სურსათის ძირითადი ჯგუფები		გაზაფხული- ზაფხულის სასურსათო კალათა, (კკალ)	შემოდგომა- ზამთრის სასურსათო კალათა, (კკალ)
1.	მარცვლეული და მარცვლეულის პროდუქტები (მათ შორის პური და პურპროდუქტები)	789.0	814.0
2.	ხორცი და ხორცის პროდუქტები	318.0	375.0
3.	თევზი და თევზის პროდუქტები	140.0	140.0
4.	რძე და რძის ნაწარმი	201.0	201.0
5.	ბისტნეული	259.0	254.0
6.	ხილი	291.0	194.0
7.	ტკბილეული	135.0	135.0
8.	ცხოველური და მცენარეული ცხიმები	104.0	104.0
9.	ალკოჰოლური სასმელი	50.0	50.0
10.	სხვა პროდუქტები	213.0	233.0
<b>სულ</b>		<b>2500.0</b>	<b>2500.0</b>

ჩვენი გაანგარიშებით მინიმალური სასურსათო და მინიმალური არასასურსათო კალათების პროპორციები უნდა შეიცვალოს 55/45 თანაფარდობით, ნაცვლად 70/30-ისა. მოცემულ თანაფარდობას ვიღებთ შემდეგი მოსაზრებების გამო:

ა) თუ XX საუკუნის 90-იან წლებში მინიმალურ სამომხმარებლო კალათაში სასურსათო და არასასურსათო კალათების წილები 70/30-ზე შეადგენდა, ხოლო საშუალო მომხმარებლის მიერ სურსათზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო კალათაში 53/47-ს

შეადგენდა, რომელიც დღეს 32/68-ს შეადგენს, მოცემული

თანაფარდობებით მინიმალურ სამომხმარებლო კალათის 49/51 თანაფარდობას ვიღებთ.

70/30 \_ 53/47

X \_ 32/68

X = 49/51

ბ) ჩვენს მიერ ჩატარებული შინამეურნეობების კვლევის შედეგად, 97%-იანი ალბათობითა და 5%-იანი შეცდომის გათვალისწინებით, საშუალოდ, ოჯახში სასურსათო ხარჯების წილი 50-60%-ის ფარგლებში მერყეობს.

